ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 242. კვირა, 1 მაისი 1911 წ. დამატების № 51

საწყლები!

ერთი მრავალთაგანი ამბები

ვანიკო კუკნიაშვილი ოცდა ორის წლის ვაჟ-კაცი იყო მამა რომ მოუკვდა. პირველ ხანს როგორღაც უხერხულად გრძნობდა თავს; ვერ წარმოედგინა, რომ ის ეხლა თავისუფალია, არა ჰყავს ბრძანებელი, დამტუქსველი, მზრუნველი უმფროსი და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ზაალ კუკნიაშვილი, მამა ვანიკოსი, რიხიანი კაცი იყო, თავისი ოჯახის თავი და ბრძანებელი. უიმისოდ სახლში წყალს თავს ვერავინ წაუქცევდა. ვანიკო და იმისი მომდევნო და ანიკო შინიდან კარში თავს ვერ გამოჰყოფდნენ მამის დაუკითხავად და თუ გაერეოდნენ ოდესმე საგვარეულო ქორში და ან ლხინში, დანიშნულ დროს უნდა დაბრუნებულიყვნენ სახლში, თითონ ზაალს კი არ უყვარდა აქა-იქ „ტუნტული“, როგორც ის იტყოდა ხოლმე, ყოველგვარ წვეულობაზე და ლხინზე და არც არავის თავის სახლში მოიწვევდა ხოლმე თავის დღეში.

თამარ მეფე, მისი სახელწოდების დღის გამო.

ზაალს ურჩობა არ უყვარდა და ბავშვობიდანვე მორჩილებაში აღზარდა შვილები და ისინიც ემორჩილებოდნენ ძალას, უპროტესტოდ ზიდავდნენ თავიანთ ხვედრს. ტანთსაცმელი რა არის, ტანთსაცმელიც კი ზაალს უნდა ეყიდნა თავის 18 წლის ქალისთვის და ოცდა ორის წლის ვაჟ-კაცისთვის.—საწყლები!—იტყოდა ხოლმე ვანიკოს, და ანიკოს აღმზრდელი და მოამაგე კოჭლი მამიდა თითიკო, როცა დატუქსული და უბრალოდ გაბიებრიებული და—ძმა, უჩუმრად მოიყუჟებოდნენ ხოლმე ი(ი)ს ოთახში.

ვანიკოც და ანიკოც, როგორც უმრავლესობა ჩვენის თავად-აზნაურთა შვილებისა, ნახევრად უსწავლელები იყვნენ. ვანიკომ სათავად-აზნაურო სკოლისა მხოლოდ ოთხი კლასი გაიარა. ანიკომ წმ. ნინოს სასწავლებელში თუმცა მეექვსეც დაასრულა, მაგრამ რუსულის ლაპარაკის გარდა, ვერაფერი ვერ გამოიტანა და ორი-სამი წლის განმავლობაში კუკნიანთკარში ჯდომის დროს, ეს რუსული ლაპარაკიც თითქმის დაივიწყა.

ერთიც და, მეორეც სხვა ოჯახში, სხვა მამის ხელში იქნება ცოტაოდნად თვალ ახილულნი, მოძრავნი, მოფიქრებულნი ყოფილიყვნენ, მაგრამ ზაალმა თავისის უძველესის მამობრივის უფლებების ძალმომრეობით, ძალზე დასჩაგრა ეს ბალღები, მით უმეტეს, რომ დედა ადრე მოუკვდათ და მოსარჩლე და დამცველი მამის დესპოტიისაგან არავინ გააჩნდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოჭლ თითიკო მამიდას, რომელიც თავის ძმის ზაალისაგან თავის ძმისწულებზე ადრე იყო დაჩაგრული და პიროვნება წართმეული. თითიკო მხოლოდ ჩუმად დაღვრიდა ხოლმე ცრემლებს და ჩურჩულით ეტყოდა ბალღებს: „რავქნათ, რავქნათ. უმფროსია უნდა მოუთმინოთ, უნდა მოუთმინოთ!“ და სუყველანი ერთად ითმენდნენ და ისე შეეჩვივნენ მოთმენას და სხვის ხელით ტრიალს, რომ, ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს, როდესაც ზაალი ახლად დადუღებულის მაჭრით შეზარხოშებული და თხის ხორცით გამაძღარი უცებ გარდაიცვალა, არ იცოდნენ რა ექმნათ, რა განკარგულება მოეხდინათ, საიდან დეეწყოთ ოჯახის მართვა-პატრონობა და თავდარიგი.

სოფლის მღვდელს რომ არ ესესხებინა ცოტაოდენი ფული და ქელეხის სარისტიც თითონვე იმ მღვდელს არ მოეწყო, შვილები და და ვერაფერს ვერ მოახერხებდნენ და საქელეხოდ მომსკდარს აუარებელ ხალხს პირუზოდ გაისტუმრებდნენ. მამულის შემოსავალი, იმისი ავ-კარგიანობის ცოდნა ხომ სიზმრათაც არ მოსჩვენებიათ ზაალის მემკვიდრეებს. იმათ წარმოდგენითაც არ იცოდნენ, თუ რა წყაროთი სარგებლობდა ზაალი იმათ საცხოვრებლად. მართალია, იმათი ცხოვრება არ იყო რთული და ფუფუნებრივი, მაგრამ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

1871

ეკ. გაბაშვილისა, უკანასკნელი სურათი.

ეკ. გაბაშვილისა, ბებიით.
სურათი გადაღებულია 1860 წელს.

ეკ. გაბაშვილისა, 23 წლ
ეკ. გაბაშვილისა, მისი მეოხებ
სკოლის
ეკ. გაბაშვილისა, ქმრით და შ
ბულია

1911

...რველი ვაჟი-შვილით.
...აარსებულ პრა-კერვის ქალთა
...ვეებთან.
...-შვილებით, სურათი გადაღე-
...წელს.

ეკ. გაბაშვილისა, ოცდა ერთი წლისა.
სურათი გადაღებულია 1881 წელს.

ეკ. გაბაშვილისა, 41 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფ. ქართ. საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი შედგენილი მიხ. ჯაკავსაძის მიერ—მომავალ კონცერტების გამო დასავლეთ საქართველოში.

ცხოვრება იყო; და ესენი კი არ სცდილობდნენ იმის შეტყობას.

ის კი ყურმოკვრით გაგონილი ჰქონდათ და-ძმას, რომ მამა-პაპეული მამული ზაალ კუკნიაშვილს ბანკში დაგირავებული არა ჰქონდა, მაშინ როდესაც მთელი კუკნიანთ გვარეულობის მამული დაგირავებული კი არა, გადაგირავებულიც რამდენჯერმე იყო.

ზაალი დიდი მტერი იყო ბანკებისა.—ვაჟო,—იტყოდა ხოლმე ის ხშირად, როდესაც მამულის დაგირავებას ურჩევდა ვინმე,—ე ოხერი მამულის შემოსავლით ძლივს ვცხოვრობთ და ბანკის სარგებელი საიდგანლა უნდა გადვიხადო? ვნახოთ, მოსავალი დაგვისეტყვა, კალიამ მოგვიძოვა ჩვენი სარჩო-საბადებელი! მაშინ ხომ ჩაქუჩი დაგვიკრეს და მამული გაგვიყიდეს? არა, შვილოსან, არა! მე ჩემს მამულს ჩემის ხელით წყალს ვერ მივცემ.

და აი ამ ორ თვალ აუხილელ ობლებს, ეწვიათ სწორედ მამის ორმოცის წირვის დროს, ვიღაც შორეული ნათესავი, ლაზათიანად მორთულ-მოკაზმული, ლაზათიანის შეხედულობის თავადი სვიმონ ბაადურისშვილი.

საიდან იყო ბაადურისშვილი კუკნიანთ ნათესავი, სწორედ არავინ იცოდა, მაგრამ თითონ ბაადურისშვილი კი ნამდვილ ნათესავად გრძნობდა თავის თავს კუკნიანთ ოჯახში. ზაალის წირვის შემდეგ, იმან მკვიდრად მოიკალათა სახლში და დაუპატიჟებლად მიჰყო ხელი საწყალი ობლების აპეკუნობას.

— ვანიკოჯან, რას მობუზულხარ, რას შეგიყვია ხელები ჩოხის სახელოებში და თავ-ჩაღუნული დახვალ?! მართალია, მამაშენი შესანიშნავი კაცი იყო (აქ ეშმაკურად გაიღიმა სვიმონმა), ოჯახისა დიდი ბურჯი, მაგრამ გამოტეხით უნდა გითხრათ, რომ თქვენ კი დიდად უსამართლოდ მოგექცათ, შეგამწყვდიათ ამ უდაბნოში, ამ მივარდნილ ლამისყანაში და წუთი-სოფელი არ გიჩვენათ. რა ხართ, ვინ ხართ? რა გინახავთ, რა იცით?—დიდის გულმტკივნეულობით და ნათესაურის ალერსით ეუბნევოდა ბაადურიშვილი ობლებს, ზაალის ორმოცის წირვის მეორე დღეს.

— განა თქვენი ცხოვრება ცხოვრებაა? აბა ერთი აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეთ, თავადიშვილები კი არა, უკანასკნელი დიაკვანის შვილებიც არ იკადრებენ თქვენისთანა ცხოვრებას! არც რიგიანი სახლი, არც ავეჯი, არც საჯდომი ცხენი, არც გაწვრთნილი მოსამსახურე! დილას თქვენ, ვითომდა მზარეულ, ხეპრე პაპუნას, ცხენი ვთხოვე, მინდოდა თქვენ სახლი-კაცებთან გამესეირნა და ვეებერთელა კვიციანი ფაშატი მომგვარა.—ბატონი ულაყებს არ ინახავდაო, „ძვირადაც ღირსო და დიდი მოვლაც უნდაო“. წამოიყროყინა და თან ჩოხის კალთით ცხვირი მოიწმინდა.

(დასასრული იქნება)

ეკ. გაბაშვილისა.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“